Georgia Organic – Farming for the Future
Project Phase II (December 2025 – July 2028)

We are pleased to announce the launch of the second phase of the project *"Georgia Organic – Farming for the Future"*, implemented in partnership between Naturland – Association for Organic Agriculture and Georgian partner organizations ELKANA and GFA.

Building on the achievements of the first phase, this new stage aims to further strengthen agricultural associations in Georgia, enabling them to actively promote organic farming, fair trade, and local quality marks while enhancing their service offerings and long-term sustainability.

Participants of the fine planning workshop for the 2nd project phase in Tbilisi, Georgia (February 2026)

Image: Naturland e.V.

Strengthening Knowledge and Services

A key focus of Phase II is the integration and expansion of training services. By 2028, ELKANA and GFA will deliver various training courses, to support farmers and value chain actors, with a strong emphasis on inclusivity and participation of women (at least 35%). These trainings will build practical skills but will also support farmers in applying organic practices in their daily operations.

Supporting Organic Conversion

The project will further support the transition to organic and other selected local certification standards and quality marks across five key product areas:
vegetable production, hazelnuts, almonds, tea (including wild collection), and viticulture.

By developing advisory concepts, conducting cost-benefit analyses, and providing tailored technical support, the project aims to assist producers in their conversion process, towards organic farming or other national sustainability standards.

Workshop and Coordination Meetings in Kakheti

In April 2026, our project team and partners gathered in the beautiful Kakheti region, for a series of productive workshops and coordination meetings.

Bringing together key stakeholders, experts, and partner organizations, the meetings aimed to strengthen collaboration, review ongoing activities, and align plans for the upcoming implementation phase. The sessions provided an important platform to reflect on progress achieved so far, exchange practical experiences, and jointly define priorities for the next steps of the project.

Agenda combined structured discussions with interactive working sessions, allowing participants to actively contribute their expertise. Special focus was placed on improving coordination among partners, enhancing the quality of training activities, and ensuring the effective implementation of planned actions under the 2026 Action Plan.

Despite taking place during the busy Easter holiday period, the workshop successfully brought together all relevant partners, demonstrating a strong commitment to the project goals. The informal setting also encouraged open dialogue and networking, further strengthening cooperation within the team.

The meetings in Kakheti marked an important milestone, reinforcing a shared vision and setting a clear direction for the months ahead.

The partner associations and their experts have developed a draft version of the document, which describes in detail the needs of the associations, challenges and their capacities, with a focus on advisory and training services.

In addition, several activities have been planned, including an exhibition and a practical study tour to Italy scheduled for May of this year. Producers (association members) have also been selected, and visits to them by an international buyer company from Poland (Bioberry) are planned. Various other project activities were also discussed and agreed.

Participants of the project workshop and coordination meetings in Kakheti –bringing together partners and experts to strengthen collaboration and plan upcoming activities.

Image: Naturland e.V.

Expanding Market Opportunities

Improving market access for Georgian organic products remains a core priority. During Phase II, producers and partner associations will participate in international trade fairs, such as: Tuttobio, and Biofach, fostering new partnerships and business opportunities.

At the local level, additional marketing events—including festivals and farmers' markets—will be organized, promoting organic products and strengthening connections between producers and consumers.

Furthermore, thematic events on organic farming, sustainable agriculture, and fair trade will bring together stakeholders, encouraging dialogue and knowledge sharing.

Looking Ahead

Through a combination of capacity building, advisory services, and market development, the project aims to create lasting impact within Georgia's organic sector.

By 2028, strengthened associations, better-trained farmers, and improved market linkages will contribute to a more resilient, sustainable, and competitive organic agriculture sector in Georgia.

We look forward to continuing this journey together with our partners and stakeholders.

Information About the Project

Georgia Organic, Farming for the Future (KVP Georgia) is a project aimed at supporting the service development of agricultural associations for the promotion of the Georgian organic sector. It is a project financed by the German Ministry of Economic Cooperation (BMZ) and administered by SEQUA with the overall aim of expanding organic agriculture, contributing to the development and stabilization of employment in rural Georgia, as well as to environmental and resource protection.

Through know-how transfer and networking, selected agricultural associations and organizations in Georgia are strengthened to support organic farming and fair trade by the German project partner the Association of Organic Agriculture Naturland e.V.

Funding Phase: Our project is funded from December 2025 to July 2028

German project partner:

Naturland e.V. - Association for Organic Agriculture

Local Partners:

· Organic Farming Association ELKANA;

· Georgian Farmers Association (GFA);

სიახლეები პროექტიდან „Georgia Organic – Farming for the Future“
გამოცემა 1 | აპრილი 2026

Georgia Organic – Farming for the Future

პროექტის II ფაზა (დეკემბერი 2025 – ივლისი 2028)

მოხარულები ვართ გაცნობოთ პროექტის „Georgia Organic – Farming for the Future“ მეორე ფაზის დაწყების შესახებ, რომელიც ხორციელდება Naturland – ორგანული მეურნეობის ასოციაციისა და ქართული პარტნიორი ორგანიზაციების, ELKANA-სა და GFA-სთან თანამშრომლობით.

პირველი ფაზის მიღწევებზე დაყრდნობით, პროექტის ახალი ეტაპი მიზნად ისახავს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ასოციაციების შემდგომ გაძლიერებას, რათა მათ აქტიურად შეუწყონ ხელი ორგანული სოფლის მეურნეობის, სამართლიანი ვაჭრობისა და ადგილობრივი ხარისხის ნიშნების პოპულარიზაციას, ამავდროულად გააუმჯობესონ თავიანთი სერვისები და გრძელვადიანი მდგრადობა.

ცოდნისა და სერვისების გაძლიერება

პროექტის მეორე ფაზის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა სასწავლო სერვისების ინტეგრაცია და გაფართოება. 2028 წლისთვის ELKANA და GFA განახორციელებენ სხვადასხვა ტრენინგ კურსებს, რომლებიც მიზნად ისახავს ფერმერებისა და ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეების მხარდაჭერას, განსაკუთრებული ყურადღებით ინკლუზიურობაზე და ქალთა მონაწილეობაზე (არანაკლებ 35%).

ეს ტრენინგები ხელს შეუწყობს პრაქტიკული უნარების განვითარებას და დაეხმარება ფერმერებს

ორგანული პრაქტიკის ყოველდღიურ საქმიანობაში დანერგვაში.

ორგანულ წარმოებაზე გადასვლის მხარდაჭერა

პროექტი გააგრძელებს ორგანულ და სხვა შერჩეულ ადგილობრივ სერტიფიკაციის სტანდარტებზე გადასვლის მხარდაჭერას ხუთ ძირითად პროდუქციის მიმართულებაში: ბოსტნეულის წარმოება, თხილი, ნუში, ჩაი (მათ შორის ველური შეგროვება) და მევენახეობა.

საკონსულტაციო კონცეფციების შემუშავების, ხარჯ-სარგებლის ანალიზის ჩატარებისა და მიზნობრივი ტექნიკური მხარდაჭერის საშუალებით, პროექტი დაეხმარება მწარმოებლებს გადასვლის პროცესში — ორგანულ მეურნეობაზე ან სხვა ადგილობრივ მდგრადობის სტანდარტებზე.

ევროპის გამოცდილ ქვეყნებში სასწავლო ტური და საერთაშორისო ექსპერტებთან თანამშრომლობა დამატებით გააძლიერებს ცოდნის გაზიარებას და პრაქტიკული სწავლების შესაძლებლობებს.

ბაზრის შესაძლებლობების გაფართოება

ქართული ორგანული პროდუქციისთვის ბაზარზე წვდომის გაუმჯობესება პროექტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რჩება. მეორე ფაზის განმავლობაში მწარმოებლები და პარტნიორი ასოციაციის წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო გამოფენებში, როგორიცაა Tuttobio, Biofach, რაც ხელს შეუწყობს ახალი პარტნიორობებისა და ბიზნეს შესაძლებლობების შექმნას.

ადგილობრივ დონეზე ასევე დაიგეგმება დამატებითი მარკეტინგული ღონისძიებები — მათ შორის ფესტივალები და ფერმერთა ბაზრები, რაც ხელს შეუწყობს ორგანული პროდუქციის პოპულარიზაციას და გააძლიერებს კავშირს მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის.

გარდა ამისა, თემატური ღონისძიებები ორგანულ სოფლის მეურნეობაზე, მდგრად აგრარულ პრაქტიკებზე და სამართლიან ვაჭრობაზე გააერთიანებს დაინტერესებულ მხარეებს, ხელს შეუწყობს დიალოგსა და ცოდნის გაზიარებას.

კახეთში – ჩატარებული სამუშაო და საკოორდინაციო შეხვედრები

2026 წლის აპრილში, ჩვენი პროექტის გუნდი და პარტნიორები კახეთის ულამაზეს რეგიონში, ლოპოტაში, შეიკრიბნენ სამუშაო და საკოორდინაციო შეხვედრების სერიის ფარგლებში, რაც მნიშვნელოვანი ეტაპია პროექტის შემდგომი განვითარებისთვის.

შეხვედრებმა გააერთიანა ძირითადი დაინტერესებული მხარეები, დარგის ექსპერტები და პარტნიორი ორგანიზაციები, საერთო მიზნის გარშემო — თანამშრომლობის გაძლიერება, მიმდინარე საქმიანობის სიღრმისეული ანალიზი და მომავალი ეტაპისთვის კოორდინირებული, ეფექტიანი ნაბიჯების დაგეგმვა. აღნიშნულმა სესიებმა შექმნა ღირებული სივრცე მიღწეული პროგრესის გააზრებისთვის, პრაქტიკული გამოცდილების გაცვლისთვის და პროექტის შემდგომი განვითარების პრიორიტეტების ერთობლივად

ჩამოსაყალიბებლად.

პროგრამა აერთიანებდა როგორც სტრუქტურირებულ განხილვებს, ისე ინტერაქტიულ სამუშაო ფორმატებს, რაც მონაწილეებს აძლევდა შესაძლებლობას, აქტიურად ჩართულიყვნენ პროცესში და საკუთარი ექსპერტიზა რეალურად დაენერგათ გადაწყვეტილებების მიღებაში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პარტნიორებს შორის კოორდინაციის გაძლიერებას, სასწავლო აქტივობების ხარისხის კიდევ უფრო ამაღლებასა და 2026 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების ეფექტიან და თანმიმდევრულ განხორციელებას.

მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრები დაემთხვა აღდგომის დატვირთულ პერიოდს, ღონისძიებამ შეძლო ყველა მნიშვნელოვანი პარტნიორის მობილიზება, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პროექტის მიზნებისადმი მაღალ პასუხისმგებლობასა და ერთგულებას. ამავდროულად, არაფორმალურმა გარემომ ხელი შეუწყო ღია, კონსტრუქციულ დიალოგსა და პროფესიული კავშირების გაღრმავებას, რაც მნიშვნელოვანი საფუძველია მომავალი თანამშრომლობისთვის.

კახეთში ჩატარებული ეს შეხვედრები იქცა მნიშვნელოვან ეტაპად, რომელმაც კიდევ უფრო გაამყარა საერთო ხედვა, გააძლიერა პარტნიორული სინერგია და განსაზღვრა მკაფიო, შედეგზე ორიენტირებული მიმართულებები პროექტის მომდევნო ეტაპისთვის.

პარტნიორმა ასოციაციებმა და მათმა ექსპერტებმა შეიმუშავეს დოკუმენტის სამუშაო ვერსია, სადაც დეტალურად არის აღწერილი ასოციაციების საჭიროებები, გამოწვევები და მათი შესაძლებლობები, საკონსულტაციო და ტრენინგ სერვისებზე ფოკუსირებით.

გარდა ამისა, დაიგეგმა სხვადასხვა აქტივობა, მათ შორის ვიზიტი გამოფენაზე და პრაქტიკული სასწავლო ტური იტალიაში, რომელიც დაგეგმილია მიმდინარე წლის მაისში. ასევე შეირჩა მწარმოებლები (ასოციაციის წევრები), რომელთა მონახულებაც იგეგმება საერთაშორისო შემსყიდველი კომპანიის (Bioberry - პოლონეთი) მიერ. ასევე განხილულ და შეთანხმებულ იქნა პროექტის სხვა აქტივობებიც.

მომავლის ხედვა

კომპეტენციების გაძლიერების, საკონსულტაციო სერვისებისა და ბაზრის განვითარების კომბინაციით, პროექტი მიზნად ისახავს საქართველოს ორგანულ სექტორში მდგრადი გავლენის შექმნას.

2028 წლისთვის გაძლიერებული ასოციაციები, უკეთ მომზადებული ფერმერები და გაუმჯობესებული საბაზრო კავშირები ხელს შეუწყობს უფრო მდგრადი, კონკურენტუნარიანი და განვითარებული ორგანული სოფლის მეურნეობის სექტორის ჩამოყალიბებას საქართველოში.

ჩვენ მოუთმენლად ველით ამ გზის გაგრძელებას ჩვენს პარტნიორებსა და დაინტერესებულ მხარეებთან ერთად.

ინფორმაცია პროექტის შესახებ

„Georgia Organic – Farming for the Future“ (KVP Georgia) არის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს სასოფლო-სამეურნეო ასოციაციების სერვისების განვითარებას საქართველოს ორგანული სექტორის ხელშეწყობისთვის. პროექტი ფინანსდება გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობის სამინისტროს (BMZ) მიერ და ადმინისტრირდება SEQUA-ს მიერ.

პროექტის საერთო მიზანია ორგანული სოფლის მეურნეობის გაფართოება, სოფლის რეგიონებში დასაქმების განვითარებისა და სტაბილიზაციის ხელშეწყობა, ასევე გარემოსა და რესურსების დაცვა.

ცოდნის გადაცემისა და ქსელური თანამშრომლობის საშუალებით, საქართველოში შერჩეული სასოფლო-სამეურნეო ასოციაციები და ორგანიზაციები ძლიერდებიან, რათა ხელი შეუწყონ ორგანულ მეურნეობასა და სამართლიან ვაჭრობას გერმანელი პარტნიორი ორგანიზაციის — Naturland e.V.-ის მხარდაჭერით.

გერმანული პარტნიორი ორგანიზაცია:

• NATURLAND e.V- ორგანული სოფლის მეურნეობის ასოციაცია

ადგილობრივი პარტნიორები:

• ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ELKANA;

• საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (GFA).